საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

განკარგულება № 129

2020 წლის 30 დეკემბერი ქ.ბათუმი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლისა და „ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 29 დეკემბრის N5608 განკარგულების შესაბამისად,

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით, „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის" მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა 85 200 (ოთხმოცდახუთი ათას ორასი) ლარის ფარგლებში განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 2021 წლის ასიგნებების ფარგლებში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმისწარმოების დეპარტამენტი № 1

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია
შემოსული № 12930/01
«30» 12 2020.
ფურცელი ___ ხელმოწერა ___ დანართი ___